

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

შპს კერძო სკოლა ლომისის ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
გულნარა ხაბურზანია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრ(ებ)ი:
ცირა ნიკოლაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☒ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	შპს კერძო სკოლა ლომისი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	209466932

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქ. თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	გლდანი IV მ/რ, ხიზანიშვილი #66
საფოსტო ინდექსი	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://lomisi1.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	schoollomisi1@gmail.com
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	032 2 58 17 58

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 01 სექტემბრის MES 8 26 0001122883 ბრძანება
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	2026 წლის 07 სექტემბერი

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 01 სექტემბრის MES 8 26 0001122883 ბრძანების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა არაგეგმიური მონიტორინგი შპს კერძო სკოლა ლომისში (ს/კ:209466932), რომლის მიზანი იყო ცენტრში ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2026 წლის 10 აგვისტოს №1031691 სამსახურებრივ ბარათში ასახული გარემოებების გამოკვლევა და ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტთან/სტანდარტებთან, მათი შესაბამისობის დადგენა. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი თავდაპირველად გაეცნო შპს კერძო სკოლა ლომისის 17.07.2026 (LMS N04/64) პასუხს ცენტრიდან მიღებულ კორესპონდენციაზე (13/07/2026; N913799), რომელიც ეხებოდა ამავე სკოლის პირველკლასელ მოსწავლეს. აღნიშნულ წერილში მოცემული იყო სკოლის პოზიცია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროდან შემოსულ კორესპონდენციაზე (N791831), რომელშიც საუბარი იყო შპს კერძო სკოლაში ლომისის მიერ ამავე სკოლის პირველი კლასის მოსწავლის ა.ც. მიმართ არამართლზომიერი ქმედების ჩადენისა და ბავშვის მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობამდე მიყვანის შესახებ.

წერილში სკოლის მიერ მოყვანილი გარემოებების შესწავლის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დღის წესრიგის თანახმად დაგეგმილ იქნა:

1. სკოლის, როგორც ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმების შესწავლა;
2. სასკოლო საზოგადოების ჩართულობის, ინფორმირების, უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების მექანიზმების განხილვა და გასაუბრება პასუხისმგებელ პირებთან;
3. სკოლაში საქმისწარმოების პროცესების შესწავლა და გასაუბრება პასუხისმგებელ პირთან;
4. სკოლის პოლიტიკის დოკუმენტების განხილვა, რომლებიც ასახავენ რეგულაციებს ბავშვთა უფლებების დაცვის მიმართულებით;
5. სსსმ მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის და აღნიშნული რეგულაციის საფუძველზე განხორციელებული პროცესების განხილვა, გასაუბრება პასუხისმგებელ პირებთან;
6. სკოლაში პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლების დაცვის მექანიზმების უზრუნველყოფის შესწავლა და განხილვა.

7. სკოლის ტერიტორიის დათვალიერება (კერძოდ სპორტული მოედნის) და უსაფრთხოების შეფასება;

აღნიშნული გეგმის განხორციელებისთვის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოყენებულ იქნა შემდეგი მეთოდები:

- ✓ სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაციის შესწავლა;
- ✓ სკოლის ადმინისტრაციასთან, ფსიქოლოგთან, დამრიგებელთან, უშუალოდ სხვადასხვა ინციდენტთან დაკავშირებულ რამდენიმე მასწავლებელთან, მოსწავლეებთან (მშობლების თანხმობით) და მშობლებთან, საქმისმწარმოებელთან ინტერვიუირება;
- ✓ სატელეფონო საუბარი შედგა უშუალოდ მოსწავლის ა.ც. მშობელთან;
- ✓ მოსწავლის პირადი საქმის შესწავლა;
- ✓ eSchool ბაზის შესწავლა;
- ✓ სპორტული მოედნის დათვალიერება.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მონიტორინგის პროცესი წარიმართა სკოლის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით რეჟიმში. სკოლა დროულად და ორგანიზებულად უზრუნველყოფდა ინტერვიუების დაგეგმვას და თანამშრომლობდა ექსპერტთა მიერ გარემოებების სრულყოფილად შესწავლის მიზნით.

მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიგნებები ეფუძნება შემდეგ დოკუმენტებს და პროცესებს:

- შპს კერძო სკოლა ლომისის 17.07.2026 (LMS N04/64) წერილი ცენტრიდან მიღებულ კორესპონდენციაზე (13/07/2026; N913799);
- კლასის დამრიგებლის (ნ.თ.) სამსახურეობრივი ბარათი;
- სკოლის ფსიქოლოგის (ნ.ჯ.) სამსახურებრივი ბარათი;
- სკოლის ფსიქოლოგის მოსწავლეზე ა.ც. დაკვირვების ანგარიში;
- სკოლის ფსიქოლოგის მოსწავლე ა.ც.-თან ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა;
- სკოლის ფსიქოლოგის მოსწავლეზე ა.ც. გაკვეთილზე და დასვენებებზე დაკვირვების ანგარიში;
- სკოლის მასწავლებლის (ე.მ.) სამსახურებრივი ბარათი;
- სკოლის მასწავლებლის (ნ.ხ.) სამსახურებრივი ბარათი;
- კლასის დამრიგებლის პორტფოლიო;
- დამრიგებლის ანგარიში;

- მოსწავლის პირადი საქმე;
- სკოლის ფსიქოლოგის პირადი საქმე;
- სკოლის შინაგანაწესი;
- შპს ლომისი 1-ის მიმართ წარდგენილი განცხადების საჩივრის განხილვის პროცედურა;
- მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების პროცესი;
- საქმისწარმოების წესი;
- სსგ 2025-2026წწ.;
- მშობელთან ურთიერთობის დებულება;
- რემედიაციის პროგრამა;
- შპს ლომისი 1-ის ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება;
- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
- უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები.

II. ფაქტობრივი გარემოებების აღწერა:

მონიტორინგის ფარგლებში დადგინდა, რომ მოსწავლეს ა.ც. ჰქონდა ქცევითი დარღვევები, რაც დადასტურდა როგორც სკოლის მასწავლებლებთან, დირექციასთან, სკოლის ფსიქოლოგთან, ასევე მოსწავლის მშობელთან გასაუბრებით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ დირექტორთან გასაუბრებისას დადგინდა:

1. 2025-2026 სასწავლო წელს პირველ კლასში შპს კერძო სკოლაში ჩაირიცხა პირველკლასელი, რომელსაც არ ჰქონდა მინიჭებული სსსმ სტატუსი. სკოლის დირექტორის განცხადებით, სწავლის დაწყებამდე, როდესაც მოხდა მოსწავლესთან პირველადი გასაუბრება და სასკოლო მზაობის შემოწმება, მაშინვე გამოიხატა მოსწავლის რთული ქცევის ელემენტები, თუმცა აღნიშნულ გარემოებას არ ადასტურებს სკოლის ფსიქოლოგი და ასევე, მოსწავლის მშობელი. სკოლის ფსიქოლოგის განმარტებით ისეთი ხანმოკლე გასაუბრებით, რა ფორმითაც ეს ხორციელდება სკოლაში, შეუძლებელია პირველივე შეხვედრაზე დადგინდეს ისეთი ქცევითი პრობლემები, რომლებიც შემდგომში აღნიშნულ მოსწავლესთან გამოიკვეთა. ამასთანავე, დირექტორი და მასწავლებლები აღნიშნავდენენ, რომ სწავლის დაწყებიდან მალე გამოიკვეთა მოსწავლის ა.ც. ქცევითი დარღვევები, რაც გამოიხატებოდა მოსწავლის მხრიდან სხვა მოსწავლეების მიმართ აგრესიით, ფიზიკური შეურაცხყოფით, საგაკვეთილო წესების დარღვევით (კლასში თვითნებური გადაადგილება სხვისი ნივთების წართმევა,

სხვისთვის საკვების წართმევა და სხვ), ბილწსიტყვაობით. სკოლის ფსიქოლოგი აღნიშნავს, რომ მოსწავლის ა.ც. დამრიგებელმა უკვე ოქტომბერში მიმართა მას დახმარებით, შეესწავლა და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი რეკომენდაციებიც გაეზიარებინა მასწავლებლებისთვის.

2. **ფსიქოლოგის ჩართულობა:**
   როგორც სკოლის წარმომადგენლებთან (დირექცია, დამრიგებელი, სკოლის ფსიქოლოგი) და თავად მშობელთან გასაუბრებით დასტურდება, მოსწავლესთან გამოკვეთილი გამოწვევებიდან გამომდინარე, პროცესში ჩაერთო სკოლის ფსიქოლოგი, რომელიც მოსწავლესთან ინდივიდუალური გეგმით ახორციელებდა მუშაობას, თუმცა დიდი შედეგი ამან ვერ გამოიღო, რისთვისაც მშობელმა საკუთარი ინიციატივით პროცესში ჩართო ქცევის თერაპევტი, რომელიც ინდივიდუალურად მუშაობდა მოსწავლესთან.
3. **სკოლის პოზიციის შესახებ:**
   ცენტრიდან მიღებულ კორესპონდენციაზე (13/07/2026; N913799) სკოლის წერილში (17.07.2026 (LMS N04/64) აღწერილია რამდენიმე გაკვეთილის ინციდენტი, რაც სკოლასთან გასაუბრებითაც დადასტურდა. აღსანიშნავია, რომ მშობელი მყისიერად იყო ხოლმე ინფორმირებული ყველა პროცესთან დაკავშირებით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინგლისურის მასწავლებელთან (ე.მ.) გასაუბრებით და ასევე ზემოაღნიშნულ კორესპონდენციაზე სკოლის მხრიდან პოზიციის დაფიქსირებისას დადგინდა, მარტის თვეში ინგლისურის გაკვეთილზე მოსწავლემ ა.ც. თანაკლასელ გოგონას სახეში ჩაარტყა ხელი, რამაც თანაკლასელთა აღშფოთება გამოიწვია, ხოლო მოსწავლემ ა.ც., როგორც მასწავლებელი ჰყვებოდა, დაიწყო მათი სიტყვიერი შეურაცხყოფა. კონფლიქტის განმუხტვის მიზნით, მასწავლებელმა მოსწავლე ა.ც განარიდა სხვა მოსწავლეებს და მასწავლებლის მაგიდასთან სკამზე თავისთან ახლოს დასვა. მისივე მონაყოლით, როცა კლასში სიტუაცია დამშვიდდა, მოსწავლეებს მისცა წერითი დავალება და აღნიშნული მოსწავლეც ჩვეულებრივ დააბრუნა მის ადგილზე. აღნიშნული ინციდენტი მასწავლებლის მიერ გაზიარებულ იქნა დირექციისთვის და მშობლისთვისაც. ასევე წარმოდგენილია თავად მასწავლებლის (ე.მ) სამსახურებრივი ბარათი.
   როგორც ექსპერტებთან გასაუბრებისას თავად მშობელი ამ ფაქტთან დაკავშირებით აღნიშნავდა, იგი აღიარებს მისი შვილის ქცევით პრობლემებს, მაგრამ მისთვის მიუღებელი იყო მისი შვილის მიმართ გამოყენებული მიდგომა, როცა მასწავლებელმა იგი დასვა ე.წ. ,,სირცხვილის სკამზე“. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით არ დადასტურდა სკოლაში მოსწავლის დასჯის ასეთი ფორმა. მათ შორის მოსწავლეებთან გასაუბრებისას არ დადასტურდა სკოლაში დასჯის მეთოდით მოსწავლეებთან მუშაობა. მასწავლებელი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მოსწავლის გადასმა

მასწავლებლის მაგიდასთან ახლოს მდგომ სკამზე ემსახურებოდა კონფლიქტის განმუხტვას და მისთვის გაუგებარი და მიუღებელიც იყო ე.წ. ,,სირცხვილის სკამის“ თავად სახელწოდების არსებობა და მით უფრო, მოსწავლესთან მიმართებაში ასეთი მიდგომების გამოყენება დასჯის მიზნით.

ექსპერტებთან გასაუბრებისას მოსწავლეები საუბრობდნენ მასწავლებელთა კეთილგანწყობილ და თანამშრომლობით დამოკიდებულებაზე. ექსპერტთა ჯგუფთან გასაუბრებაზე იმყოფებოდნენ სამივე საფეხურის მოსწავლეები (მე-4, მე-5, მე-6, მე-8 და მე-10 კლასის მოსწავლეები). უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ვიზიტის პერიოდში, ინგლისურის მასწავლებელი აღარ იყო ამ სკოლის თანამშრომელი, თუმცა მან სრული მზადყოფნა გამოთქვა ექსპერტებთან თანამშრომლობისთვის და პირადად გამოცხდდა გასაუბრებისთვის. მან ასევე გულისტკივილით აღნიშნა, რომ მოსწავლეს, რომელსაც სწავლის დასაწყისშივე აღენიშნებოდა ქცევითი დარღვევები, მასთან ყოველთვის ცდილობდა ინდივიდუალური მიდგომით ყოფილიყო და გაუგებარი იყო, საიდან გაჩნდა ე.წ. ,,სირცხვილის სკამის“ იდეა, რაც მას პრაქტიკაში არასოდეს ჰქონია. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა ინდივიდუალურად ამავე კლასის რამდენიმე მშობელს და ასევე, საბაზო-საშუალო საფეხურის მშობლებს. ყველა ხაზგასმით საუბრობდა სკოლაში მასწავლებელთა მხრიდან თანამშრომლობითი ურთიერთობის შესახებ. ასევე - თავად სკოლის მხრიდან მზადყოფნას, გაგებით მოეკიდონ სხვადასხვა სახის გამოწვევას და ერთად გადაჭრან არსებული პრობლემა, რაშიც აქტიურად არიან ჩართული როგორც მასწავლებლები, ასევე სკოლის ფსიქოლოგი.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან მიღებულ კორესპონდენციაზე (13/07/2026; N913799) პასუხად სკოლის წერილში (17.07.2026 (LMS N04/64) აღწერილი იყო ასევე სპორტის გაკვეთილზე მომხდარი ინციდენტიც. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დეტალების დაზუსტების მიზნით ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა თავად სპორტის მასწავლებელს (ნ.ხ.). მან აღნიშნა, რომ სპორტის გაკვეთილზე მოსწავლის მხრიდან ხშირად ჰქონდა ადგილი წესების დარღვევას, ბილწსიტყვაობას. თუმცა მიმდინარე წლის 21 მაისს უშუალოდ მისი მისამართით მოსწავლემ შეიგინა. მასწავლებლის გადმოცემით, სპორტის გაკვეთილზე მოსწავლეები სკოლასთან ახლოს მდებარე ღია სპორტულ მოედანზე იმყოფებოდნენ, სადაც თამაშის დროს ბურთი მოედნის ტერიტორიიდან ქუჩაში გადავარდა. ბურთის მოტანა სურდა მოსწავლეს ა.ც. თუმცა მასწავლებელმა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით მოსწავლეს უარი უთხრა იმ აზრით, რომ ბურთს თავად მოიტანდა. ამ უარმა გამოიწვია მოსწავლის ა.ც. გაბრაზება და ამის გამო მასწავლებელს მიმართა უწმაწური, შეურაცხმყოფელი ბილწი სიტყვებით. როგორც მასწავლებელმა აღნიშნა, ეს მისთვის იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ტირილი ძლივს შეიკავა. ამ ფაქტის მომსწრე თანაკლასელები გაბრაზდნენ და მოსწავლეს ა.ც. საყვედურობდნენ

იმის გამო, რომ ასეთი მიმართვა არ იყო მართებული მასწავლებლის მიმართ. როგორც მასწავლებელმა ექსპერტებთან გააზიარა, ბავშვებში განმუხტა სიტუაცია, დააბრუნა სასკოლო სივრცეში და მოსწავლეებიც დამრიგებელს ჩააბარა. აღნიშნული ინფორმაცია დასტურდება მასწავლებლის სამსახურეობრივ ბარათითაც. გასაუბრებისას მან აღნიშნა, რომ მოსწავლე ა.ც. ბოლოს შეეცადა მასწავლებელს დალაპარაკებოდა, თუმცა როგორც თავად მასწავლებელმა აღნიშნა, იმდენად უჭირდა ტირილის შეკავება, რომ მოსწავლეს სთხოვა, ცოტა ხანი არ დალაპარაკებოდა, რადგან არ შეეძლო საუბარი. აღნიშნული ფაქტის შესახებ მან ინფორმაცია მიაწოდა დირექტორს, ცხადია, დამრიგებელსაც. სკოლიდან დაუკავშირდნენ მშობელს იმავე დღეს, რომელიც სკოლაში იქნა დაბარებული. ამ ფაქტის შემდეგ მოსწავლე გაკვეთილებს არ დასწრებია. დამრიგებელმა როგორც აღნიშნა, მშობელს უკავშირდებოდა მოსწავლის გაცდენის თაობაზე. მისივე გადმოცემით, მშობელი მოსწავლის მიერ სკოლის გაცდენას ხსნიდა იმ მიზეზით, რომ მისი შვილი განიცდიდა სპორტის გაკვეთილზე თანაკლასელების მხრიდან მისი მისამართით გამოთქმულ საყვედურებს.

4. **მშობელთან კომუნიკაციის შესახებ:**

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოხდა სატელეფონო გასაუბრება მოსწავლე ა.ც. მშობელთან. იგი აღნიშნავდა, რომ სკოლასთან აქტიურად თანამშრომლობდა, რადგან იცოდა მისი შვილის ქცევის სირთულეები. სწავლის დაწყებიდანვე მოსწავლე შეიყვანა გახანგრძლივებულში, თუმცა იმის გამო, რომ მალევე გამოიკვეთა ქცევის სირთულეები, მოსწავლეს მშობლის გადაწყვეტილებით აღარ უვლია. მან აღნიშნა ისიც, რომ სკოლის მხრიდან შეთავაზება მიიღო პროცესში ჩართულიყო სკოლის ფსიქოლოგი. იგი ადასტურებდა, რომ სკოლის ფსიქოლოგი მოსწავლესთან ა.ც. პირველი სემესტრის გარკვეულ პერიოდში თანამშრომლობდა წინასწარ შეთანხმებული განრიგით. ამასთანავე, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, მან თავისი ხარჯებით უზრუნველყო დამატებით შვილისთვის ქცევის თერაპევტის აყვანა. სკოლას მშობელმა სთხოვა მიეცათ მოსწავლის პირადი თერაპევტისთვის გაკვეთილზე დაკვირვების საშუალება, რომ უკეთ შეესწავლა ის გამღიზიანებლები, რაც მოსწავლეში იწვევდა იმპულსურ ქცევით დარღვევებს, რაზეც მან სკოლისგან მიიღო უარი იმ არგუმენტით, რომ სკოლას ჰყავს საკუთარი ფსიქოლოგი, რომელიც პროცესებზე დაკვირვებით ისედაც შეიმუშავებს რეკომენდაციებს და ასევე არ აქვს უფლება თანაკლასელების კანონიერ წარმომადგენლებთან ნებართვის გარეშე დაუშვას კლასში უცხო პირი, რომელიც შეისწავლიდა საგაკვეთილო პროცესს. ეს ფაქტი დასტურდება სკოლის დამრიგებელთან და დირექტორთან გასაუბრებითაც.

მშობელმა ექსპერტებთან საუბრისას აღნიშნა, რომ მან შვილს სამედიცინო კვლევაც კი ჩაუტარა, რამე ფიზიოლოგიურ დონეზე ხომ არ ჰქონდა დარღვევა. მაგრამ არანაირი პათოლოგია არ დადასტურდა. ყოველთვის გაგებით ეკიდებოდა

სკოლის მხრიდან გაზიარებულ ინფორმაციას მისი შვილის ქცევასთან დაკავშირებით და ძალიან განიცდიდა. ასევე აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ დეკემბერში, როცა დამრიგებელს ესაუბრა, დამრიგებელი ძალიან მსუბუქად საუბრობდა მოსწავლის ქცევის სირთულეზე და გამოხატავდა პოზიტიურ მოლოდინებს ქცევის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. მისი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ სკოლას ჰყავს გამოცდილი ფსიქოლოგი, მაინც არ აქვს იმის საჭირო რესურსი, რომ დაეხმაროს ასეთი სირთულის მოსწავლეს ქცევის მართვის კუთხით და უფრო ეფექტურად მართოს პროცესი.

მშობელმა ექსპერტებთან ისაუბრა სპორტის გაკვეთილზე მომხდარი ინციდენტის შესახებ, აღიარებს იმასაც, რომ რა სიტუაციაც განვითარდა გაკვეთილზე, განიცდიდა და არანაირად ამართლებდა მისი შვილის საქციელს. თუმცა მიუღებელი იყო მისთვის ის ფორმა, რა ფორმითაც დახვდა მას სკოლა. როდესაც 21 მაისს მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით იგი სკოლაში გამოცხადდა, სასაუბროდ მას შეხვდა დირექტორი, კლასის დამრიგებელი, სასწავლო პროცესის ხელმძღვანელი და სპორტის მასწავლებელი. იგი ამ საუბარს ნეგატიურად აფასებდა, მისი თქმით ეს იყო ერთგვარი ,,თავდასხმა“ მასზე. ამ შეხვედრის დროს მას ირიბად უთხრეს, რომ სკოლას არ აქვს მეტი შესაძლებლობა დაეხმაროს მოსწავლეს ა.ც. ქცევის მართვაში და ხომ არ სჯობდა ეფიქრა მშობელს შვილის სხვა სკოლაში გადაყვანა. ამასთანავე, მშობელი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ამ ინციდენტამდე იგი არც კი განიხილავდა შვილის სკოლიდან გადაყვანას. მნიშვნელოვანია ისიც აღინიშნოს, რომ სკოლის წარმომადგენელთა განცხადებით მშობელი ყოველთვის მადლიერებას გამოხატავდა სკოლის მხრიდან თანადგომისა და მხარდაჭერისთვის. მშობელმა გასაუბრებისას ისიც აღნიშნა, რომ მისი შვილისგან მოუსმენია ისეთი შეფასებები პედაგოგების მიმართ, რაც მისი გადმოცემით, აშკარად მიუთითებდა პედაგოგის გადაცდომებზე, მაგრამ იმის გამო, რომ მოსწავლეს ჰქონდა ქცევით გამოწვეული სირთულეები და შეიძლებოდა ეს ბავშვის ინტერპრეტაციაც ყოფილიყო, ამიტომ არასოდეს გაუჟღერებია სკოლის წარმომადგენლებთან ეს გარემოებები. იგი მიიჩნევს, რომ სკოლამ სათანადოდ არ გაითვალისწინა მოსწავლის ფსიქოლოგიურ-ასაკობრივი თავისებურებები და ნაცვლად სკოლის მხრიდან მიდგომების შეცვლისა, მისი შვილი უფრო მეტად დაითრგუნა და მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობამდე იქნა მიყვანილი სკოლის მხრიდან.

მშობლის გადმოცემით, იგი მზად იყო სკოლასთან ერთად ყველა შემხვედრი ნაბიჯი გადაედგა მისი შვილის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, რისთვისაც სკოლაში მოიყვანა მოსწავლის ა.ც. მოძღვარი. გამომდინარე იქიდან, რომ მოსწავლე არის სტიქაროსანი და მოძღვარი მისთვის დიდ ავტორიტეტს წარმოადგენდა, მიიჩნია, რომ მოძღვრის ჩარევა ამ საქმეში მის შვილზე დადებითად აისახებოდა. ამასთან დაკავშირებით სკოლამაც აღნიშნა, რომ ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე შედგა ეს შეხვედრა, თუმცა შედეგი არ აისახა მოსწავლეზე.

5. მოსწავლის მხარდაჭერის სისტემა:

როგორც სკოლის წარმომადგენლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურ უსაფრთხოებას. ამისთვის სკოლას ჰყავს კვალიფიციური ფსიქოლოგი. მშობელთან და სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ **პირველი სემესტრის განმავლობაში** სკოლის ფსიქოლოგი ინდივიდუალურად მუშაობდა მოსწავლესთან ა.ც. ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა რატომ არ მოხდა მოსწავლის გადამისამართება მისი ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასების მიზნით, რამდენადაც გამოხატული იყო ქცევითი და ემოციური დარღვევები. სკოლის ფსიქოლოგი, ისევე როგორც სკოლის დირექცია, აღნიშნავდა, რომ ამის საჭიროება ნამდვილად იდგა, მშობელთანაც ჰქონდათ ამაზე საუბარი, მაგრამ მშობლის მხრიდან მიიღეს უარი. ამიტომ მშობლის თანხმობის გარეშე ვერ გააგრძელეს პროცესი. ამას აღნიშნავდა გასაუბრებისას როგორც სკოლის დირექტორი, ასევე სასწავლო პროცესების ხელმძღვანელი, სკოლის ფსიქოლოგი. ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა იმით, თუ ჰქონდა სკოლას **კანონმდებლობის შესაბამისად მშობლის წერილობითი განცხადება იმის თაობაზე, რომ იგი წინააღმდეგია მოსწავლის სპეციალური საგანამანათლებლო საჭიროების შეფასების და თავად იღებდა პასუხისმგებლობას მოსწავლის სწავლის/სწავლების შედგებზე. აღნიშნული ვალდებულების შესახებ სკოლის წარმომადგენლებისთვის უცნობი იყო და აღნიშნეს არ იცოდნენ ამის შესახებ. შესაბამისად ასეთი დოკუმენტი სკოლამ ვიზიტის პერიოდში ვერ წარმოადგინა.** ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ სკოლას განემარტა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის N16/ნ ბრძანების ,,ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე“ მუხლი 8 ითვალისწინებს, რომ თუ სკოლის მხრიდან მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებით გამოხატული სიძნელეების შესახებ ინფორმირების მიუხედავად მშობელი არ არის თანახმა შედგეს მოსწავლის სპეციალური საგანამანათლებლო საჭიროების შეფასება, იგი ვალდებულია ხელმოწერით დაადასტუროს, რომ თავად იღებს პასუხისმგებლობას მოსწავლის სწავლა/სწავლების შედეგებზე (პუნქტი 4), ხოლო თუ მოსწავლის მდგომარეობა კვლავ მიუთითებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭირობის შეფასების აუცილებლობაზე, სკოლა ვალდებულია გონივრულ ვადებში განმეორებით მიიღოს ზომები მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასებაზე მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის მისაღებად. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი წინააღმდეგია მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასების, ვალდებულია აღნიშნულის შესახებ განაცხადოს წერილობით (პუნქტი 5). <u>**აღნიშნული რეგულირება არ განხორციელებულა სკოლის მხრიდან.**</u> ამასთანავე, სკოლის ფსიქოლოგმა ექსპერტებთან გასაუბრებისას რამდენჯერმე დაადასტურა, რომ მოსწავლე

საჭიროებდა ზემოხსენებულ შეფასებას. ვიზიტის პერიოდში სკოლაში არ ფიქსირდებოდა სსსმ მოსწავლე და სკოლის წარმომადგენელები აღნიშნავდნენ, რომ არც წინა წლებში არ ჰყოლიათ სსსმ მოსწავლეები.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა მიერ გამოთხოვნილ იქნა დოკუმენტი, რომლითაც რეგულირდებოდა სკოლაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის პროცესი. სკოლის მიერ წარმოდგენილ 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში ვკითხულობთ, რომ სკოლაში ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის №16/ნ ბრძანებით. თუმცა ზემოაღნიშნული ბრძანებით გათვალისწინებული რეგულირება (მუხლი 8, პუნქტი 4 და პუნქტი 5) სკოლას არ აუმოქმედებია.

მოსწავლის მხარდაჭერის მექანიზმების კუთხით უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლეები და მშობლები გასაუბრებისას აღნიშნავდენენ მასწავლებელთა ძალისხმევას მოსწავლეებს შორის მეგობრული ურთიერთობის და ზოგადად სოციალური უნარების განვითარების მიმართულებით. ისიც უნდა ითქვას, რომ ცენტრიდან მიღებულ კორესპონდენციაზე (13/07/2026; N913799) სკოლის წერილში (17.07.2026 (LMS N04/64) საუბარი იყო იმაზეც, რომ მოსწავლე ა.ც. ხშირად არღვევდა სკოლის შინაგანაწესს, თუმცა სკოლა ითვალისწინებდა მოსწავლის ასაკს და მოსწავლის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, მათ შორის თავად სკოლის ფსიქოლოგის რჩევით, სკოლის დირექციის მხრიდან მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, პირველ კლასში მის მიმართ არ დაწყებულიყო დისციპლინური წარმოება. ამის თაობაზე ექსპერტებთან გასაუბრებისას დირექციამ აღნიშნა, რომ მათთვის პრიორიტეტი იყო არა მოსწავლის დასჯა, არამედ მშობლის, დირექციის, ფსიქოლოგისა და პედაგოგების ერთობლივი ძალისხმევით პრობლემის დაძლევა. სკოლის წარმომადგენლებმა ასევე აღნიშნეს, რომ სპორტის გაკვეთილზე ინციდენტის შემდეგ მშობელს მიაწოდეს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მომავალში მოსწავლის მხრიდან შინაგანაწესის დარღვევის შემთხვევაში, სკოლა დაიწყებდა დისციპლინურ წარმოებას, რასაც მშობლის უკმაყოფილება მოჰყვა, თუმცა მან ექსპერტებთან გასაუბრებისას არ დაადასტურა სკოლის მხრიდან სამომავლოდ დისციპლინური წარმოების შესახებ ინფორმირების ფაქტი.

სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებითა და **სკოლის მიერ შემუშავებული მარეგულირებელი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა უფლებების დაცვას, ასევე შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, მედიაციის წესი, რემედიაციის პროგრამა და სხვ.**

6. მოსწავლის შესახებ ინფორმირების კოორდინირება:

ვიზიტის პერიოდში სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებისას გარკვეული უზუსტობები გამოვლინდა, კერძოდ:

- მოსწავლის შესახებ ინგლისურის მასწავლებელმა აღნიშნა, რომ მოსწავლე ა.ც. განსაკუთრებით აგრესიული იყო გოგონების მიმართ, მაშინ როცა დამრიგებელი აღნიშნავდა, რომ მას გოგონებთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა. სკოლას მიეცა <u>რჩევა: მოსწავლეზე დაკვირვების შედეგები შეჯერებული იქნას ერთობლივად მოსწავლის მხრიდან გამოკვეთილი პრობლემის უფრო ეფექტურად მართვის მიზნით.</u>
- ასევე დამრიგებლის მიერ მოსწავლის შეფასებისას უმაღლესი ქულით იყო შეფასებული მოსწავლის ა.ც. მიერ ქცევის წესების დაცვის უნარი, მაშინ როცა სკოლის ყველა წარმომადგენელი საუბრობდა მის მიერ წესების ხშირ დარღვევაზე. ასევე დადებითად იყო შეფასებული პუნქტი იმის შესახებ, რომ მოსწავლე ა.ც. მეგობრული და კომუნიკაბელური იყო, მაშინ როცა სკოლის წარმომადგენლები ერთხმად საუბრობდნენ მის დამოკიდებულებაზე თანაკლასელების მიმართ, რომელიც ხშირად აგრესიულობით გამოირჩეოდა, ნივთების ჩარტყმით, ჩანთაში წყლის ჩასხმით, საკვების წართმევით, ბილწსიტყვაობით და ა.შ. ამ ფაქტთან დაკავშირებით კლასის დამრიგებელმა აღნიშნა, რომ შეცდომა მოუვიდა შევსებისას. <u>სასურველია მეტი ყურადღებით იქნას მოსწავლის უნარები და მდგომარეობა შეფასებული.</u>
- ასევე დამრიგებლის მიერ გაჟღერდა, რომ თანაკლასელთა მშობლები პრეტენზიას გამოთქვამდნენ მოსწავლის ა.ც. რთული ქცევის გამო, რადგან მათი შვილები ზარალდებიან მისი აგრესიისა თუ ბილწსიტყვაობის გამო. ვიზიტის პერიოდში იმავე კლასის რამდენიმე მშობელთან ექსპერტების გასაუბრებისას მსგავსი ინფორმაცია არ დადასტურდა. ისინი აღნიშნავდნენ, რომ მოსწავლის ა.ც. მშობელი ძალიან ნერვიულობდა მისი შვილის ქცევის სირთულეების გამო და მშობლები მას ამხნევებდნენ, რომ მომავალში ის ქცევას გამოასწორებდა. ერთ-ერთმა მშობელმა აღნიშნა, რომ გული დაწყდა, როცა გაიგო ამ მოსწავლის სკოლიდან გადაყვანის ამბავი.

7. საქმისწარმოება/მასალების დოკუმენტირება:

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა სკოლის ფსიქოლოგის მიერ განხორციელებული აქტივობებით. იგი აღნიშნავდა, რომ მას ჰქონდა ინდივიდუალური **სამოქმედო გეგმა უშუალოდ მოსწავლესთან ა.ც. სამუშაოდ. თუმცა აღნიშნული გეგმა არ იყო დროში გაწერილი, ბუნდოვანი რჩებოდა რა პერიოდს მოიცავდა ამ მოსწავლესთან მუშაობის ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა. ასევე ჰქონდა გაკვეთილზე და დასვენებებზე დასწრების ანგარიში, თუმცა მასში ასახული იყო ძალიან მწირი ინფორმაცია. გაურკვეველი რჩებოდა როდის და რა ინტენსივობით მოხდა მოსწავლეზე დაკვირვება. ამასთანავე სკოლის ფსიქოლოგის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია საჭიროებს სისტემატიზაციას (მასალები ხელით იყო ნაწერი) და მეტ კონკრეტიკას.**

მშობელმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ სკოლას წერილობით - განცხადებით ოფიციალურად მიმართა მიმდინარე წლის 8 ივნისს. ექსპერტთა ჯგუფის წევრების მიერ დაზუსტდა დეტალები, რომლის თანახმად, წერილი (განცხადება როგორც მშობელი აღნიშნავდა) გადასცა საქმისმწარმოებელს, რომელსაც წერილის რეგისტრაცია არ გაუკეთებია. მისი თქმით, სკოლას ამ წერილის მიმართ არც შემდგომ ჰქონია რეაგირება. ამასთან დაკავშირებით სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლის ა.ც. მშობელმა საქმისმწარმოებელს გადასცა კონვერტი და უთხრა უშუალოდ დირექტორისთვის გადაეცა. საქმისმწარმოებელმა უთხრა, რომ დირექტორი გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ევროპაში იმყოფებოდა. ამის მიუხედავად, მშობელმა კონვერტი მაინც დაუტოვა საქმისმწარმოებელს. მან კი დირექტორს დაბრუნებისთანავე გადასცა ეს კონვერტი. როგორც დირექტორმა აღნიშნა, კონვერტში ჩადებული იყო პატარა ფურცელი, რომელზეც ეწერა, რომ მას სურდა შეხვედრა დირექტორთან და სპორტის მასწავლებელთან სხვების გარეშე. ამის მერე სკოლის წარმომადგენელი ტელეფონით დაუკავშირდა ზემოხსენებული მოსწავლის დედას, დაუდასტურა, რომ დირექტორი უკვე დაბრუნებულია ქვეყანაში და შეუძლია მისთვის ხელსაყრელ დროს შეხვედრის ჩანიშვნა. თუმცა მას მერე მშობელს არ დაურეკავს.

აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით **<u>ექსპერტთა ჯგუფის მიერ სკოლას განემარტა, რომ სკოლა კანონიერად უნდა იცავდეს საქმისწარმოების წესს. მშობლის მიერ შემოსული განცხადება უნდა გატარებულიყო სარეგისტრაციო ჟურნალში როგორც შემოსული კორესპონდენცია.</u>**

მონიტორინგის ჯგუფის მიერ მტკიცებულებათა და გასაუბრების ურთიერთშეჯერების საფუძველზე გამოიკვთა შემდეგი მიგნებები:

1. **მოსწავლის მხარდაჭერის სისტემა**

დადგენილი გარემოება:

მონიტორინგის ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტაციისა და ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ დამრიგებლის პორტფოლიოში ასახულია მოსწავლის აკადემიურ მოსწრებასა და დისციპლინასთან დაკავშირებით მშობელთან განხორციელებული კომუნიკაცია. ფსიქოლოგისა და დამრიგებლის განმარტებით, მოსწავლესთან და კლასთან ხორციელდებოდა შესაბამისი მხარდამჭერი ღონისძიებები. ხორციელდება მოსწავლის აკადემიური და სოციალური უნარების შესწავლა/მოკვლევა. ფსიქოლოგთან გასაუბრებისას ექსპერტებმა დაადგინეს, რომ მას არ ჰქონდა მასწავლებელთა მიერ შევსებული სპეციალური ფორმა, რითაც შეიძლებოდა მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასებისთვის გადამისამართება. იგი ფლობდა მასწავლებელთა მიერ ზეპირსიტყვიერად მიწოდებულ ინფორმაციას.

გარდა ამისა, ვიზიტის ფარგლებში სკოლამ ვერ წარმოადგინა ფსიქოლოგის სამოქმედო გეგმა (საუბარია უშუალოდ ფსიქოლოგის და არა მოსწავლე ა.ც.-სთან სამუშაო გეგმაზე) და წლიური ანგარიში, რითაც ექსპერტთა ჯგუფს უფრო დეტალური წარმოდგენა შეექმნებოდა, რამდენად თანამიმდევრულია სკოლა დაწესებულებაში მოსწავლის მხარდამჭერი სისტემის ფუნქციონირებისას. ექსპერტთა ჯგუფისთვის ინფორმაცია მიღებულ იქნა მხოლოდ სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად.

შეფასება:

დადასტურდა, რომ სკოლა ახორციელებდა მოსწავლის მხარდაჭერის ღონისძიებებს და თანამშრომლობს მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან. თუმცა **საჭიროა მეტი სისტემური მიდგომა და ეფექტური მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელება, მათი წინასწარ გაწერა და ანგარიშგება მოსწავლის აკადემიური მოსწრების და დისციპლინის გასაუმჯობესებლად კანონმდებლობით გათვალისწინებული მექანიზმებით.**

2. **კანონმდებლობით გათვალისწინებული მოსწავლის უფლებების რეალიზება**

დადგენილი გარემოება:

მონიტორინგის ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტაციისა და სასკოლო საზოგადოებასთან ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლაში მოსწავლეების ფსიქო-ემოციური უსაფრთხოების მიზნით სკოლის ფსიქოლოგი აქტიურად არის პროცესებში ჩართული, თუმცა სკოლამ ვერ წარმოადგინა მტკიცებულება, რითაც დაადასტურებდა მოსწავლის სპეციალური საგანამანათლებლო საჭიროების იდენტიფიცირების მექანიზმების ფუნქციონირებას სკოლაში კანონმდებლობის შესაბამისად.

შეფასება:

დადასტურდა, რომ **სკოლა სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს სკოლაში მოსწავლეთა საჭიროებების იდენტიფიცირებას მათი ფსიქოსაგანამანათლებლო შეფასების მიზნით. სკოლამ სრულად ვერ აამოქმედა კანონმდებლობით განსაზღვრული რეგულაციები მაშინ, როცა მშობელი უარს აცხადებდა მოსწავლის ფსიქოსაგანამანათლებლო შეფასებაზე.**

სკოლამ ვერ უზრუნველყო სკოლაში ინკლუზიური გარემოს უზრუნველყოფა.

3. **საქმისწარმოება/მასალების დოკუმენტირება:**

ფსიქოლოგის მიერ წარმოდგენილი მოსწავლეს ა.ც.-თან სამუშაო სამოქმედო გეგმა არ იყო მკაფიოდ დროში გაწერილი, ასევე მასზე დაკვირვების ანგარიში იყო ზოგადი ფორმულირებით ძალიან მწირი ინფორმაციით. **სკოლის ფსიქოლოგის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია საჭიროებს სისტემატიზაციას (მასალები ხელით იყო ნაწერი) და მეტ კონკრეტიკას.**

სკოლაში შემოსული კორესპონდენციის აღრიცხვა ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ განხორციელდა კანონმდებლობის შესაბამისად. საქმისმწარმოებელმა მოსწავლის ა.ც. მშობლისგან მიიღო დირექტორისთვის განკუთვნილი კონვერტი შესაბამისი რეგისტრაციის გარეშე.

შეფასება:

დადასტურდა, რომ **სკოლამ კანონმდებლობის შესაბამისად ვერ უზრუნველყო საქმისწარმოების წესის განხორციელება ზემოაღნიშნულ კონკრეტულ შემთხვევაში.**

დასკვნა

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაანალიზებული იქნა საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებები. შესწავლის შედეგად განისაზღვრა მათი შესაბამისობა საქარ თველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან. ექსპერტთა ჯგუფის მნიშვნელოვანი მიგნებები და მათთან დაკავშირებული საკითხები მოცემულია დასკვნის ძირითადი ნაწილის რამდენიმე ინდიკატორის აღწერილობაში, შესაბამისი შეფასებებით. **(იხილეთ ინდიკატორების დეტალური აღწერა).**

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
300	269

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზებთან დაკავშირებით. დაწესებულებამ, ასევე, წარმოადგინა თანდართული დოკუმენტაცია მტკიცებულებების სახით. ექსპერტთა ჯგუფმა ნაწილობრივ გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია. კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის პოზიცია და ინდიკატორები:

- **4.1.1.3; 4.1.2.1. და 3.6.2.2. შეფასდა სრული შესაბამისობით;**
- **3.4.1.4.; 3.6.2.1.; 3.6.3.5. და 4.2.3.1. მიმართებით ექსპერტთა შეფასება დარჩა უცვლელი. აღნიშნული ინდიკატორები არ არის დაკმაყოფილებული.**

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☒ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და	☐ შეესაბამება

ინფრასტრუქტურა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☒ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

(ცხრილი ივსება მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის წარმოების დროს)

<table>
<tr><td rowspan="2">მოსწავლეთა რაოდენობა:
----------</td><td>ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება

☐</td><td>აღწერა
(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების განაცხადში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)</td></tr>
<tr><td>ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება

☐</td><td></td></tr>
</table>

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N3.4.1.4.	სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს	*სკოლის მხრიდან სათანადოდ არ მოხდა კანონმდებლობით გათვალისწინებული მექანიზმების ამოქმედება მოსწავლის მიმართ უფრო ეფექტური მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელების მიზნით, მათი წინასწარ გაწერა და ანგარიშგება მოსწავლის აკადემიური მოსწრების და დისციპლინის გასაუმჯობესებლად.* ***(იხ. ინდიკატორი)***
ინდიკატორი N3.6.2.1.	სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი	*სკოლაში შემოსული დოკუმენტაციის მიღება განხორციელდა კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის დარღვევით. კერძოდ, საქმისმწარმოებელს არ მიუნიჭებია შემოსული დოკუმენტაციისათვის სარეგისტრაციო ნომერი, არ გადაუმოწმებია დოკუმენტზე არსებული რეკვიზიტების სისრულე.* ***(იხ. ინდიკატორი)***
ინდიკატორი N3.6.3.5.	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი	*ვებგვერდზე ჩამოთვლილია სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულები და პირები, თუმცა აღნიშნული ჩამონათვალი არასრულია და არ მოიცავს სკოლაში დასაქმებული პირებისა და სტურუქტურული ერთეულის შესახებ სრულ სურათსა თუ მათ შორის არსებულ დაქვემდებარებას.* ***(იხ. ინდიკატორი)***

	დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია	
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N4.2.3.1.	სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი	*სკოლა სრულად ვერ უზრუნველყოფს კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგულაციების დაცვას მოსწავლის ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასების განხორციელებისთვის. სკოლამ ვერ წარმოადგინა მშობლის წერილობითი განცხადება მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასებაზე უარის თქმის შესახებ.* ***(იხ. ინდიკატორი)***

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N3.4.1.4.	სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს	• *სასურველია სკოლის ფსიქოლოგის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეიცავდეს მეტ კონკრეტიკას და დოკუმენტაცია იყოს სისტემატიზირებული (მასალები ხელით იყო ნაწერი);* • *სასურველია, დამრიგებლის მიერ მოსწავლის შეფასება მოხდეს მოსწავლის უნარებისა და მდგომარეობის შესაბამისად. მეტი ყურადღებით იქნას შევსებული მოსწავლის შეფასებები;* ***(იხ. ინდიკატორი)***
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლის ადმინისტრაციასთან ექსპერტთა გასაუბრებისას აღინიშნა, რომ სკოლა მოსწავლეთა ფსიქოლოგიური და ემოციური უსაფრთხოების უზრუნველყოფას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ამ მიმართულებით მუშაობაში ინტენსიურად ჩართულია სკოლის დირექტორი, რომელიც, როგორც სპეციალობით ფსიქოლოგი და ფილოსოფოსი, მართავს საუბრებს კლასებთან და მოსწავლეებთან. სკოლას ჰყავს კვალიფიციური ფსიქოლოგი, რომელიც ესწრება გაკვეთილებს და, საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალურად მუშაობს მოსწავლესთან. უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფას ხელს უწყობს სადამრიგებლო პროგრამის განხორციელება. მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრების საფუძველზე სკოლაში არსებული სასკოლო გარემოს უსაფრთხოება დადებითად შეფასდა.

მონიტორინგის პროცესში ჩატარდა გასაუბრება I კლასის დამრიგებელთან, ცენტრიდან მიღებულ კორესპონდენციაზე (13/07/2026; N913799) სკოლის წერილში (17.07.2026 (LMS N04/64) აღწერილ ინციდენტებთან დაკავშირებულ მასწავლებლებთან, მოსწავლის მშობელთან, შესწავლილ იქნა I კლასის დამრიგებლის პორტფოლიო, დამრიგებლის ანგარიში, ფსიქოლოგის ანგარიში (მოსწავლე ა.ც-თან მუშაობის ანგარიში) და მოსწავლის პირადი საქმე.

საკითხის შესწავლით დადასტურდა, რომ სწავლის დაწყებიდან მოკლე ხანში გამოიკვეთა მოსწავლის ა.ც. ქცევითი დარღვევები, რაც გამოიხატებოდა მოსწავლის მხრიდან სხვა მოსწავლეების მიმართ აგრესიით, ფიზიკური შეურაცხყოფით, საგაკვეთილო წესების დარღვევით (კლასში თვითნებური გადაადგილება, სხვისი ნივთების წართმევა, სხვისთვის საკვების წართმევა და სხვ.), ბილწსიტყვაობით. სკოლის ფსიქოლოგი აღნიშნავს, რომ მოსწავლის ა.ც. დამრიგებელმა უკვე ოქტომბერში მიმართა მას დახმარებით, შეესწავლა და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი რეკომენდაციებიც გაეზიარებინა მასწავლებლებისთვის.

ფსიქოლოგისა და დამრიგებლის განმარტებით, მოსწავლესთან და კლასთან ხორციელდებოდა შესაბამისი მხარდამჭერი ღონისძიებები. თუმცა ვიზიტის პერიოდში (2026 წლის 7 სექტემბერი) ფსიქოლოგმა ვერ წარმოადგინა მასწავლებელთა მიერ შევსებული სპეციალური ფორმა, რითაც შეიძლებოდა მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასებისთვის გადამისამართება. იგი ფლობდა მასწავლებელთა მიერ ზეპირსიტყვიერად მიწოდებულ ინფორმაციას. ექსპერტთა ჯგუფი დეტალებით დაინტერესდა, რატომ არ იყო მასწავლებელთა მიერ ეს ფორმები შევსებული, თუ იდგა იმის საჭიროება, რომ მომხდარიყო მოსწავლე ა.ც. ფსიქოსაგანამანათლებლო შეფასება. მან აღნიშნა, რომ **წლის დასაწყისში ურიგებს ყველა მასწავლებელს, მაგრამ არავის შეუვსია. შესაბამისად მას შეეძლო განმეორებით შეეხსენებინა პედაგოგებისთვის ამ ფორმის შევსების შესახებ.**

ფსიქოლოგმა აღნიშნა, რომ მას ჰქონდა ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა უშუალოდ მოსწავლესთან ა.ც. სამუშაოდ. თუმცა აღნიშნული გეგმა არ იყო დროში გაწერილი, ბუნდოვანი რჩებოდა რა პერიოდს მოიცავდა ამ მოსწავლესთან მუშაობის ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა. ასევე ჰქონდა მოსწავლე ა.ც.-ს გაკვეთილზე და დასვენებებზე დასწრების ანგარიში, თუმცა მასში ასახული იყო ძალიან მწირი ინფორმაცია. გაურკვეველი რჩებოდა როდის და რა ინტენსივობით მოხდა მოსწავლეზე დაკვირვება. ამასთანავე, **სკოლის ფსიქოლოგის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია საჭიროებს სისტემატიზაციას (მასალები ხელით იყო ნაწერი) და მეტ კონკრეტიკას.**

ვიზიტის ფარგლებში (2026 წლის 7 სექტემბერი) სკოლამ ვერ წარმოადგინა საკუთრივ ფსიქოლოგის სამოქმედო გეგმა და წლიური ანგარიში, რითაც ექსპერტთა ჯგუფს უფრო დეტალური წარმოდგენა შეექმნებოდა, რამდენად თანამიმდევრულია სკოლა მოსწავლის მხარდამჭერი სისტემის ფუნქციონირებისას. ექსპერტთა ჯგუფისთვის ინფორმაცია მიღებულ იქნა მხოლოდ სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად.

დამრიგებლის პორტფოლიოს შესწავლით დადგინდა, რომ დამრიგებლის მიერ მოსწავლის შეფასებისას უმაღლესი ქულით იყო შეფასებული მოსწავლის ა.ც. მიერ ქცევის წესების დაცვის უნარი, მაშინ როცა სკოლის ყველა წარმომადგენელი საუბრობდა მის მიერ წესების დარღვევაზე. ასევე დადებითად ჰქონდა შეფასებული პუნქტი იმის შესახებ, რომ მოსწავლე ა.ც. მეგობრული და კომუნიკაბელური იყო, მაშინ როცა სკოლის წარმომადგენლები ერთხმად საუბრობდნენ მის დამოკიდებულებაზე თანაკლასელების მიმართ, რომელიც ხშირად აგრესიულობით გამოირჩეოდა, ნივთების ჩარტყმით, ჩანთაში წყლის ჩასხმით, საკვების წართმევით, ბილწსიტყვაობით და ა.შ. ამ ფაქტთან დაკავშირებით კლასის დამრიგებელმა აღნიშნა, რომ შეცდომა მოუვიდა შევსების დროს. სასურველია, მეტი ყურადღებით იქნას მოსწავლის უნარები და მდგომარეობა შეფასებული.

ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასწავლო გარემოს უზრუნველყოფის ღონისძიებების ეფექტიანობას, გარკვეულწილად წარმოადგენს, დამდგარი შედეგი. 2026 წლის 17 ივლისს მოსწავლე მობილობით გადავიდა სკოლიდან. აღსანიშნავია, რომ დირექციისა და დამრიგებლის თქმით, მშობლის მიერ მიღებული მოსწავლის გადაყვანის გადაწყვეტილება

მოულოდნელი იყო. მშობლის თქმით, კი ამ გადაწყვეტილების მიღებას წინ უძღოდა, სპორტის გაკვეთილზე მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით სკოლაში შეხვედრა. შეხვედრაში მონაწილეობდნენ დირექტორი, კლასის დამრიგებელი, სასწავლო პროცესის ხელმძღვანელი და სპორტის მასწავლებელი. მშობელი ამ საუბარს ნეგატიურად აფასებდა, მისი თქმით, ეს იყო ერთგვარი ,,თავდასხმა“ მასზე. ამ შეხვედრის დროს მას ირიბად უთხრეს, რომ სკოლას არ აქვს მეტი შესაძლებლობა დაეხმაროს მოსწავლეს ა.ც. ქცევის მართვაში და ურჩიეს, ხომ არ სჯობდა სხვა სკოლაში გადაეყვანა შვილი. ამასთანავე, მშობელი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ამ ინციდენტამდე იგი არც კი განიხილავდა შვილის სკოლიდან გადაყვანას.

მნიშვნელოვანია ისიც აღინიშნოს, რომ სკოლის წარმომადგენელთა განცხადებით მშობელი ყოველთვის მადლიერებას გამოხატავდა სკოლის მხრიდან თანადგომისა და მხარდაჭერისთვის. მშობლის განცხადებით, მისი შვილისგან მოუსმენია ისეთი შეფასებები პედაგოგების მიმართ, რაც მისი გადმოცემით, აშკარად მიუთითებდა პედაგოგის გადაცდომებზე, მაგრამ იმის გამო, რომ მოსწავლეს ჰქონდა ქცევით გამოწვეული სირთულეები და ეს შეიძლებოდა ბავშვის ინტერპრეტაციაც ყოფილიყო, ამიტომ არასოდეს გაუჟღერებია სკოლის წარმომადგენლებთან ეს გარემოებები. იგი მიიჩნევს, რომ სკოლამ სათანადოდ არ გაითვალისწინა მოსწავლის ფსიქოლოგიურ-ასაკობრივი თავისებურებები და ნაცვლად სკოლის მხრიდან მიდგომების შეცვლისა, მისი შვილი უფრო მეტად დაითრგუნა და მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობამდე იქნა მიყვანილი სკოლის მხრიდან.

მონიტორინგის ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ სკოლა ახორციელებდა მოსწავლის მხარდაჭერის ღონისძიებებს და თანამშრომლობდა მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან. თუმცა <u>საჭიროა მეტი სისტემური მიდგომა და ეფექტური მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელება, მათი წინასწარ გაწერა და ანგარიშგება მოსწავლის აკადემიური მოსწრების და დისციპლინის გასაუმჯობესებლად კანონმდებლობით გათვალისწინებული მექანიზმებით.</u>

სკოლამ **არგუმენტირებული პოზიციის** სახით წარმოადგინა ფსიქოლოგის 2025-2026 სასწავლო წლის ანგარიში; ასევე 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, რომლის საფუძველზეც არის შედგენილი წლიური აგნარიში. სკოლამ ასევე წარმოადგინა დამრიგებლის მიერ მოსწავლის გადამისამართების შევსებული ფორმა, რომელიც დათარიღებულია 2025 წლის 17 ოქტომბრის თარიღით, თუმცა ამასთანავე სკოლის მიერ წარმოდგენილია ფსიქოლოგის ინდივიდუალური ქცევითი მხარდაჭერის გეგმა, რომელიც მიმართული იყო მოსწავლის ა.ც.-მხარდასაჭერად. ინდივიდუალური ქცევითი მხარდაჭერის გეგმის დოკუმენტი დათარიღებულია 2025 წლის 15 ოქტომბრით. <u>აღნიშნული ორი დოკუმენტის თარიღები ვერ ასახავს პროცესების ქრონოლოგიურ თანამიმდევრობას.</u> გარდა ამისა, გარკვეული შეუსაბამობა არის ფაქტებს შორის. როგორც ვიზიტის პერიოდში ექსპერტებთან გასაუბრებისას თავად ფსიქოლოგმა და მათ შორის მოსწავლის მშობელმაც განაცხადა, მოსწავლესთან ა.ც. მუშაობა ხორციელდებოდა ძირითადად პირველი სემესტრის განმავლობაში, თუმცა უკვე არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლის მიერ წარმოდგენილ სკოლის ფსიქოლოგის ინდივიდუალური დაკვირვებისა (მოსწავლე ა.ც.-თვის) და ინტერვენციის სამოქმედო გეგმაში გაწერილია პერიოდი 2025 წლიდან 2026 წლის ივნისამდე, 15 წუთიანი ჩართულობით

კვირაში რამდენიმე შეხვედრით. აღვნიშნავთ, რომ **ეს დოკუმენტი სკოლამ ვიზიტის პერიოდში ვერ წარმოადგინა და არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილი აღნიშნული მტკიცებულება არ ემთხვევა ვიზიტის პერიოდში სკოლის მხრიდან ექსპერტებთან ზეპირსიტყვიერად გაზიარებულ ინფორმაციას (სკოლის ფსიქოლოგისგან და უშუალოდ მოსწავლის მშობლისგან მიღებულ ინფორმაციას).** ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ აღნიშნული დოკუმენტები სკოლამ ვერ წარმოადგინა ვიზიტის პერიოდში (2026 წლის 07 სექტემბერი), რის გამოც ექსპერტთა ჯგუფი ვერ იზიარებს იმ მიდგომას, რომ სკოლა თანამიმდევრულად ახორციელებდა პროცესებს ამ კონკრეტულ მოსწავლესთან დაკავშირებით.

სკოლის მიერ წარმოდგენილი იყო ასევე დამრიგებლის ახსნა-განმარტებითი ბარათი, რომლის თანახმად, დამრიგებელს ტექნიკური შეცდომა ჰქონდა დაშვებული მოსწავლის შეფასებისას. არგუმენტირებული პოზიციის სახით დაწესებულების მიერ ასევე წარმოდგენილი იქნა:

- N16/ნ ბრძანების მე-8 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად შემუშავებული ,,მშობლის წერილობითი თანხმობის/უარის სტანდარტული ფორმა“;
- დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ სკოლამ შეიმუშავა მასწავლებლის მიერ მოსწავლის გადამისამართების (რეფერალის) ბარათი;
- ფსიქოლოგის ინდივიდუალური დაკვირვებისა და ინტერვენციის გეგმა;
- ფსიქოლოგის მოქმედების, დაკვირვების შესახებ სამუშაოს ფორმა;
- ინკლუზიური განათლების განახლებული პროგრამა, სადაც დაზუსტდა N16/ნ ბრძანებით გათვალისწინებული მშობლის წერილობითი თანხმობის/უარის მიღების პროცედურები.

არგუმენტირებული პოზიციის სახით სკოლამ წარმოადგინა ფსიქოლოგის მიერ მოსწავლეზე დაკვირვების ფორმა (შაბლონი), თუმცა უშუალოდ პირველკლასელ მოსწავლეზე-ა.ც. ფსიქოლოგის დაკვირვების შევსებული ფორმა არ წარმოუდგენია. იმის გათვალისწინებით, რომ კონკრეტულ მოსწავლესთან დაკავშირებთ **<u>სკოლამ ვიზიტის პერიოდში ვერ წარმოადგინა საკმარისი მტკიცებულებები კანონმდებლობით განსაზღვრული პირველადი მართვისთვის საჭირო თანამიმდევრული აქტივობებისა, ექსპერტთა ჯგუფი ვერ იზიარებს სკოლის პოზიციას.</u>** სკოლის წარმომადგენლებთან, ასევე პირველკლასელი მოსწავლის ა.ც.-ს მშობელთან გასაუბრების და სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სკოლამ ვერ იმოქმედა კანონმდებლობით განსაზღვრული რეგულაციების თანამიმდევრულად. კერძოდ, სკოლას არ მოუხდენია მოსწავლის ფსიქოსაგანამანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების სპეციალისტის მიერ ფსიქოსაგანმანმანათებლო შეფასებისთვის კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა, თუმცა თავად სკოლის ფსიქოლოგმა ექსპერტებთან საუბრისას აღნიშნა, რომ მოსწავლე საჭიროებდა ზემოაღნიშნულ შეფასებას, რაზეც მისმა მშობელმა უარი

განაცხადა. აღნიშნულს მშობელი არ ადასტურებდა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ექსპერტთა შეფასება აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებაში არ შეცვლილა. ამიტომ **ინდიკატორი 3.4.1.4. არ არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ფსიქოლოგის პირადი საქმე;
- ფსიქოლოგის ანგარიში;
- დამრიგებლის პორტფოლიო;
- მოსწავლის პირადი საქმე;
- ფსიქოლოგის ინდივიდუალური დაკვირვებისა და ინტერვენციის გეგმა;
- მშობლის წერილობითი თანხმობის/უარის სტანდარტული ფორმა;
- მასწავლებელის მიერ მოსწავლის გადამისამართების (რეფერალის) ბარათი;
- დამრიგებლის ახსნა-განმარტებითი ბარათი;
- შპს ,,კერძო სკოლა ლომისი“-ს დირექტორის 2026 წლის 15 სექტემბრის ბრძანება 02/37 ,,შპს კერძო სკოლა ლომისის დაწყებითი კლასის მასწავლებლისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☒ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლაში მოქმედებს 2011 წლის 04 მარტს დამტიცებული საქმისწარმოების წესი. წესში ცვლილება შესულია 2015 წლის 29 დეკემბერს. წესი აღწერს დოკუმენტბრუნვის ორგანიზებასთან დაკავშირებულ საკითხებს, განსაზღვრავს შემოსული დოკუმენტაციისა და შიდა დოკუმენტაციის სახეებს. წესის თანახმად, სკოლაში შემოსული ყველა სახის დოკუმენტაცია ტარდება შემოსული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალში, რომელსაც აწარმოებს საქმისმწარმოებელი. შემოსული დოკუმენტების რეგისტრაციას საქმისმწარმოებელი ახორციელებს შემოსვლის დღესვე. დოკუმენტის რეგისტრაცია მოიცავს შემოსვლის ფაქტის დაფიქსირებას, სარეგისტრაციო ნომრის მინიჭებასა და ჟურნალში აღრიცხვას. სკოლაში შემოსული ყველა დოკუმენტი, იმისათვის რომ მიეცეს შემდგომი მსვლელობა უნდა შეიცავდეს სავალდებულო რეკვიზიტებს (სკოლის დასახელება, განმცხადებლის ვინაობა, მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია, განმცხადებლის მოთხოვნა, განცხადების წარდგენის თარიღი და განმცხადებლის ხელმოწერა, თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში).

რეგისტრაციას არ ექვემდებარება სარეკლამო შეტყობინება, ბროშურა, წიგნები, პერიოდული გამოცემები, პირადი კორესპონდენცია და მოსწაწვევი ბარათები.

სკოლამ წარმოადგინა სარეგისტრაციო ჟურნალები: შემოსული დოკუმენტაციის, გასული დოკუმენტაციის, საერთო ბრძანებების, შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალები მატერიალური ფორმით.

მონიტორინგის საკითხის შესწავლის პროცესში, ექსპერტთა ჯგუფთან გასაუბრებისას **მშობელმა აღნიშნა, რომ სკოლას წერილობით, ოფიციალურად, მიმართა 8 ივნისს. წერილი გადასცა საქმისმწარმოებელს, რომელსაც წერილის რეგისტრაცია არ გაუკეთებია. <u>მისი თქმით, სკოლას ამ წერილის მიმართ რეაგირება არ ჰქონია.</u>** აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლის ა.ც. მშობელმა საქმისმწარმოებელს გადასცა კონვერტი და უთხრა, უშუალოდ დირექტორისთვის გადაეცა. საქმისმწარმოებელმა უთხრა, რომ დირექტორი გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ევროპაში იმყოფებოდა. ამის მიუხედავად, მშობელმა კონვერტი მაინც დაუტოვა საქმისმწარმოებელს. მან კი დაბრუნებისთანავე გადასცა დირექტორს ეს კონვერტი.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, აღწერილი შემთხვევა, **წარმოაჩენს საქმისწარმოების პროცესში არსებულ ხარვეზს: სკოლაში შემოსული დოკუმენტაციის ჩაბარებას მოქმედი, კანონმდებლობის შესაბამისი წესით განსაზღვრული პროცედურების**

დარღვევით; კერძოდ, საქმისმწარმოებელს არ მიუნიჭებია შემოსული დოკუმენტაციისათვის სარეგისტრაციო ნომერი, არ გადაუმოწმებია დოკუმენტზე არსებული რეკვიზიტების სისრულე. მან დოკუმენტი ჩაიბარა, როგორც პირადი კორესპონდენცია.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არგუმენტირებული პოზიციის სახით სკოლამ წარმოადგინა საქმისმწარმოებლის ახსნა-განმარტებითი ბარათი (08.09.2026წ.), რომელშიც იგი აღნიშნავდა, რომ მოსწავლის მშობელმა ა.ც.-მ დირექტორის არყოფნაში წარმოადგინა დახურული კონვერტი დირექტორისთვის გადასაცემად და მშობლის განმარტების საფუძველზე მიიჩნია, რომ ეს წერილი არ ატარებდა ოფიციალური განცხადების სახეს. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით დირექტორის ბრძანებით საქმისწარმოებელს დაეკისრა დისციპლინური სახდელი (ბრძანება N02/38. 15.09.2026წ.). მიუხედავად იმისა, რომ სკოლის მიერ საბოლოოდ საქმისმწარმოებლის მიერ მშობლის წერილზე გაკეთებული რეაგირება შეფასდა როგორც საქმისწარმოების დარღვევად, ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნულ გარემოებას აფასებს როგორც დამდგარ ფაქტს და ამიტომ ამ პუნქტთან მიმართებაში შეფასება რჩება იგივე. <u>ინდიკატორი 3.6.2.1.არ არის დაკმაყოფილებული.</u>

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა

სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს (Schoolbook) მოსწავლეთა დასწრებისა და შეფასების აღრიცხვის, აგრეთვე, მშობლებთან კომუნიკაციის მიზნებისათვის.

სკოლაში დოკუმენტბრუნვა მიმდინარეობს მხოლოდ მატერიალური ფორმით წარმოებული სარეგისტრაციო ჟურნალების გამოყენებით. სკოლას არ აქვს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა.

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის სახით წარმოადგინა 2026 წლის 8 სექტემბერს შპს ,,სქულბუქ მენეჯმენტ სისტემსთან“ გაფორმებული ხელშეკრულება, რომლითაც სკოლა უზრუნველყოფს საქმისწარმოების ელექტრონულ დოკუმენტბრუნვას. ასევე წარმოდგენილ იქნა სკოლის დირექტორის ბრძანება შპს კერძო სკოლა ლომისში დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის ,,Schoolbook“ ექსპლუატაციაში შესვლის შესახებ (ბრძ. 02/30; 09.09.2026წ.). ინდიკატორი 3.6.2.2. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი, 04/03/2011.
- შემოსული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალი;
- გასული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალი;
- საერთო ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი;
- ელექტრონული ჟურნალი (Schoolbook);

- საქმისმწარმოებლის ახსნა-განმარტებითი ბარათი (08.09.2026წ.);
- შპს ,,კერძო სკოლა ლომისი“-ს დირექტორის 2026 წლის 15 სექტემბრის ბრძანება 02/38 ,,შპს კერძო სკოლა ლომისის საქმისმწარმოებლისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ;
- შპს ,,სქულბუქ მენეჯმენტ სისტემსთან“ გაფორმებული ხელშეკრულება (08.09.2026წ.);
- საქმისწარმოების წესი (ბრძ. 02/45; 2026 წლის 24 სექტემბერი).
- ბრძანება შპს კერძო სკოლა ლომისში დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის ,,Schoolbook“ ექსპლუატაციაში შესვლის შესახებ (ბრძ. 02/30; 09.09.2026წ.).

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

3.სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას

სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი https://lomisi1.ge/. ვებ გვერდზე ინფორმაცია ქართულ ენაზეა განთავსებული. **ინდიკატორი 3.6.3.3. დაკმაყოფილებულია.**

4. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია

სკოლის ვებგვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა და ღირებულებები.

დასკვნის პროექტის თანახმად, ვებგვერდზე ჩამოთვლილი იყო სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულები და პირები, თუმცა აღნიშნული ჩამონათვალი არასრული იყო და არ მოიცავდა სკოლაში დასაქმებული პირებისა და სტრუქტურული ერთეულის შესახებ სრულ სურათსა თუ მათ შორის არსებულ დაქვემდებარებას. შესაბამისად, ვერ მივიჩნიეთ, რომ ვებგვერდი მოიცავდა სკოლის სტრუქტურას.

ვებგვერდზე ასახულია პროგრამის სახელწოდებები და საფასური, თუმცა არ არის ასახული ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაცია.

ვებგვერდზე განთავსებულია შინაგანაწესი, განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურა.
ვებგვერდზე არ არის განთავსებული ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები.
სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის სახით განმარტა, რომ ვებგვერდზე განთავსებულია სტანდარტით გათვალისწინებული ინფორმაცია. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა სკოლის ვებგვერდი. საიტზე ატვირთულია ანგარიში ფინანსური მდგრადობის შესახებ, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიში. სკოლამ ასევე განათავსა განახლებული ორგანოგრამა, თუმცა მასში არ გვხვდება საქმისმწარმოებელი. აქვე უნდა ითქვას, ისიც, რომ ახსნა-განმარტებით ბარათში მოხსენიებულია საქმეთამმართველი, ხოლო დირექტორის ბრძანებაში დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ (ბრძ. 02/ 38; 15.09.2026წ.) აღნიშნული პოზიცია დასახელებულია როგორც საქმისმწარმოებელი. ყოველივე აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის მიერ არ იცვლება აღნიშნული ინდიკატორის შეფასება, რადგან სრულ შესაბამისობაში არ არის სტრუქტურული ერთეულების დასახელება და არც ორგანოგრამაში არ არის აღნიშნული პოზიცია. <u>ინდიკატორი 3.6.3.4. არ არის დაკმაყოფილებული.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებ გვერდი https://lomisi1.ge/
- შპს ,,კერძო სკოლა ლომისი“-ს დირექტორის 2026 წლის 15 სექტემბრის ბრძანება 02/38 ,,შპს კერძო სკოლა ლომისის საქმისმწარმოებლისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☒ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება

მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. ხელშეკრულებები მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: ხელშეკრულების საგანი, მხარეთა უფლება-მოვალეობები, სწავლების ღირებულება და ანაზღაურების პირობები, მხარეთა პასუხისმგებლობა, ხელშეკრულების შეწყვეტა, დავების განხილვის წესი, ფორს მაჟორი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა, დამატებითი პირობები.

ხელშეკრულების პუნქტების შესწავლით გამოვლინდა შეუსაბამობები მოქმედ კანონმდებლობასთან, კონკრეტულად ზოგადი განათლების კანონის 33[2] მუხლით (კერძო სკოლის უფლება-მოვალეობები მოსწავლის მიმართ) განსაზღვრულ წესთან:

1. ხელშეკრულების 3.5 პუნქტი: *„მშობელი ვალდებულია გადაიხადოს დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურეობის ღირებულება არაუგვიანეს ყოველი თვის 07 რიცხვისა; ...იმ შემთხვევაში, თუ თანხის გადაცილება შეადგენს 7 დღეზე მეტს, სკოლა უფლებას იტოვებს, მშობლისგან მოითხოვოს მოსწავლის უზრუნველყოფა სხვა ალტერნატიული ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლებლით.“*
2. ხელშეკრულების 3.5 პუნქტი: *„მოსწავლის სკოლიდან გაყვანის ან სხვა სკოლაში გადაყვანის შემთხვევაში მშობელი ვალდებულია, სკოლას გადაუხადოს მოსწავლის სწავლის შეწყვეტის უკანასკნელი დღისათვის დაანგარიშებული საზღაური. წინასწარ გადახდილი სწავლების ღირებულება მოსწავლის სკოლიდან გადაყვანის შემთხვევაში მშობელს არ უბრუნდება.“*

სკოლის შიდა რეგულაცია ფინანსური დავალიანების წარმოშობისა და მობილობის შემთხვევაში წინასწარ გადახდილ თანხასთან დაკავშირებით არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, ვინაიდან კერძო სკოლა ვალდებულია ფინანსური დავალიანების წარმოშობის შემთხვევაში მოსწავლეს დაასრულებინოს მიმდინარე სასწავლო სემესტრი, ხოლო მოსწავლის

კანონიერი წარმომადგენლის სურვილით მოსწავლის სხვა სკოლაში მობილობის შემთხვევაში მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს 5 სამუშაო დღის ვადაში დაუბრუნოს წინასწარ გადახდილი სწავლის საფასური (არსებობის შემთხვევაში).
ექსპერტთა ჯგუფის ინტერესი გამოიწვია 2.2.5 პუნქტით განსაზღვრულმა მშობლის ერთ-ერთმა ვალდებულებამ: „საჭიროების შემთხვევაში წინასწარ შეთანხებული და მისაღები ფორმით იმორიგეოს სკოლაში“. დირექციის განმარტებით, მშობლის მორიგეობაში იგულისხმება გასვლით სასკოლო ღონისძიებებზე მშობლის თანხლება მოსწავლეთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. აღნიშნული ვალდებულება არ გულისხმობს სასკოლო დროს, სკოლის შენობაში მორიგეობას.
ზემოთქმულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ **მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებები კანონმდებლობასთან არ არის შესაბამისი და მკაფიო.**
სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის სახით წარმოადგინა მშობელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების განახლებული ფორმა, რომელშიც გათვალისწინებულია კანონმდებლობით განსაზღვრული რეგულაციები (ზოგადი განათლების კანონის 33² მუხლი (კერძო სკოლის უფლება-მოვალეობები მოსწავლის მიმართ)). აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას. შესაბამისად შეიცვალა ექსპერტთა შეფასება ინდიკატორთან მიმართებაში. <u>ინდიკატორი 4.1.1.3. დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებები;

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლის ვებგვერდზე არ არის განთავსებული სკოლის შიდა რეგულაცია მოსწავლეთა **ჩარიცხვის პროცედურებთან დაკავშირებით. თუმცა ნარატიული ფორმით აღნიშნულია, რომ მოსწავლეთა მიღება ხორციელდება** საქართველოს

განათლების სამინისტროს მიერ დადგენილი მობილობის წესით. *„I-IV კლასის მოსწავლეები სკოლაში მისაღებად გადიან გასაუბრებას, ხოლო V-XII კლ. მოსწავლეები ტესტირებას ძირითად საგნებში. ...სკოლის მიერ დაწესებული ბარიერია 5,0 ქულა. ...სკოლაში ჩაირიცხებიან მხოლოდ ის მოსწავლეები, რომლებიც გასაუბრებასა და ტესტირებაში მისაღებ (5,0ქ.) შეფასებას დაიმსახურებენ“.* **ვებგვერდზე აღწერილი მოსწავლეთა მიღების პროცედურა, რომელიც გულისხმობს მიღებას გასაუბრებისა და ტესტირების საფუძველზე, არ შეესაბამება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის N193/ნ ბრძანებას „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის შესახებ“;** წესის თანახმად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, მობილობის მსურველის ჩარიცხვის შემდგომ, გასაუბრების ან გამოცდის საფუძველზე, დაადგინოს მოსწავლის ცოდნისა და უნარების ცალკეული კლასის/კლასების ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონესთან თავსებადობა, ცალკეულ საგანში/საგნებში მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საჭიროების განსაზღვრის მიზნით. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევდა, რომ ინდიკატორი 4.1.2.1. არ არის დაკმაყოფილებული.

არგუმენტირებული პოზიციის სახით სკოლამ განმარტა, რომ განაახლა ვებგვერდზე მოსწავლის მიღების პროცედურები კანონმდებლობის შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა აღნიშნული ინფორმაცია და შესაბამისად გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია. აქედან გამომდინარე, ინდიკატორი 4.1.2.1. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებ გვერდი https://lomisi1.ge/migheba/

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლამ წარმოადგინა 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა. დოკუმენტის შემადგენელი ნაწილია ინკლუზიური განათლების ქვეთავი (2.7 ინკლუზიური განათლება). აღნიშნულია, რომ სკოლაში ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის №16/ნ ბრძანებით. ამასთანავე, განმარტებულია, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე შეიძლება იყოს მოსწავლე, რომელსაც აქვს ა) ფიზიკური შეზღუდვა; ბ) ინტელექტუალური განვითარების დარღვევა; გ) სწავლის უნარის დარღვევა; დ) სენსორული განვითარების დარღვევა (სმენის და/ან მხედველობის); ე) ენა-მეტყველების განვითარების დარღვევა და კომუნიკაციის სირთულეები; **ვ) ქცევითი და ემოციური დარღვევა;** ზ) გრძელვადიანი ჰოსპიტალიზაციის საჭიროება; თ) სოციალური ფაქტორებით გამოწვეული სირთულეები სწავლაში, რის გამოც ვერ ძლევს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს; ი) ენობრივი ბარიერის გამო გამოწვეული სირთულეები სწავლაში. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურება ხდება ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის შეფასებისა და დასკვნის საფუძველზე. აღწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის, ისგ ჯგუფის, სსსმ მოსწავლის დასწრებისა და შეფასების, შინ სწავლების საკითხები.

ვიზიტის პერიოდში სკოლაში არ ირიცხებოდა სსსმ მოსწავლე. მონიტორინგის ფარგლებში, რომელიც შეეხება პირველი კლასის მოსწავლის ა.ც.-ს უფლებების დაცვის საკითხის შესწავლას, დირექციის, დამრიგებლის, მასწავლებლების, ფსიქოლოგისა და მშობლის მხრიდან დადასტურდა, რომ მოსწავლეს ჰქონდა ქცევითი და ემოციური სახის საჭიროებები; დირექციის მხრიდან აღინიშნა, რომ სწავლის დაწყების პირველივე ხანებში მშობელთან ზეპირი კომუნიკაციის პროცესში დაფიქსირებული იყო ინფორმაცია სასწავლო პროცესში გამოვლენილი მოსწავლის ქცევითი და ემოციური სირთულეების

შესახებ და შეთავაზებული იყო მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მოსწავლის შეფასება. აღნიშნულ შეთავაზებაზე მშობელმა უარი განაცხადა და საკითხზე პირადი ძალისხმევით, ქცევის თერაპევტის აყვანა არჩია. მშობელთან გასაუბრებით ვერ დადასტურდა სკოლის მხრიდან აღნიშნული ფაქტი.

აღწერილი გარემოებიდან გამომდინარე, დარღვეულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის ბრძანება №16/ნ „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე“. კონრეტულად, იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი არ არის თანახმა შედგეს მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასება, ის სკოლის დირექტორს მიმართავს განცხადებით, რომელშიც ხელმოწერით ადასტურებს, რომ თავად იღებს პასუხისმგებლობას მოსწავლის სწავლის/სწავლების შედეგებზე, ხოლო თუ მოსწავლე კვლავ ავლენს სიძნელეს სწავლასთან დაკავშირებით, რაც მისი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასების აუცილებლობაზე მიუთითებს, ამ მუხლით დადგენილი წესით სკოლა გონივრულ ვადებში განმეორებით იღებს ზომებს მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასებაზე მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის მისაღებად. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი წინააღმდეგია მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასების, ვალდებულია აღნიშნულის შესახებ განაცხადოს წერილობით. ვიზიტის პერიოდში **მშობლის წერილობითი განცხადება მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასებაზე უარის თქმის შესახებ სკოლამ ვერ წარმოადგინა.**

არგუმენტირებული პოზიციის სახით სკოლამ წარმოადგინა სპეციალური საგანამამთლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სპეციალური პროგრამა. დოკუმენტში გაწერილია ქცევითი სირთულეების მართვისა და მონიტორინგის მექანიზმები, ასევე მშობელთან კომუნიკაციისა და ადმინისტრაციული პროცედურების, მათ შორის სსსმ სტატუსზე უარის დაფიქსირების წესი, რაც შესაბამასობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. ამასთანავე, სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის სახით განმარტა, რომ მოსწავლე არ საჭიროებდა ფსიქოსაგანამანათლებლო შეფასებას. ექსპერტთა ჯგუფი ვერ იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას, რადგან თავად სკოლის წარმომადგენლები (დირექცია, სკოლის ფსიქოლოგი და მასწავლებლები) ვიზიტისას აღნიშნავდნენ, რომ მოსწავლე საჭიროებდა ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებას ქცევითი და ემოციური დარღვევების გამო, რაზეც მშობელმა უარი განაცხადა და მხოლოდ ამიტომ არ მოხდა მოსწავლის გადამისამართება. გარდა ამისა, თავად სკოლის ყველა წარმომადგენელი აღნიშნავდა მოსწავლის ქცევით პრობლემებს, რაც მას ხელს უშლიდა სასწავლო გარემოს ადაპტაციაში. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის ბრძანება №16/ნ „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე“ მე-6 მუხლის პირველი პუნქტით

განსაზღვრულია, რომ მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის პრობლემის გამო, სკოლა ვალდებულია განახორციელოს ამავე ბრძანებით განსაზღვრული პროცედურები. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას და მიიჩნევს, რომ <u>ინდიკატორი 4.2.3.1. არ არის დაკმაყოფილებული.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სპეციალური პროგრამა (ბრძ. 02/43; 24.09.2026წ.);

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია


.....

.....

.....

.....

თარიღი 16.10.2026წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 